

საკანონმდებლო წინადადება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის დაცვის სპეციალური ღონისძიების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

პრობლემის არსი

სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი 2019 წლის ნოემბრიდან ამოქმედდა და ამოქმედებიდან ძალიან სწრაფად დაიწყო კონკრეტული დანაშაულის გამოძევა, სადაც პოტენციური დანაშაულები შინაგან საქმეთა სამინისტროს სიგემაში იმხილებიან. არასრულწლოვანი ლ. ს. -ს თვითმკვლელობის გრაგიკული შემთხვევა და მის მიმართ პოლიციელთა მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებები გახდა სახელმწიფო ინსპექტორის ერთ-ერთი პირველი გამოსაძიებელი საქმე. აღნიშნული საქმე ამ ახალი ინსტიტუციისთვის ერთგვარი ტესტი და გრაექტორიის განმსაზღვრელი იქნება სხვა შემდგომი გამოსაძიებელი საქმეების მიმართ, რამდენადაც ამ საქმის გამოძიების პრაქტიკა, ინერციულად, სრულად იქნება აღბეჭდილი სხვა საქმეთა გამოძიებაზე. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ საქმის გამოძიება მოხდეს ეფექტურად.

მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული საქმის გამოძევა დაიწყო სახელმწიფო ინსპექტორმა, ბრალი წარედგინა ერთ-ერთ გამოძიებელს მ.ჩ.-ს. დაზარალებულის ოჯახის ადვოკატი მიუთითებდა, რომ არა მხოლოდ გამოძიებელი, არამედ რამდენიმე სხვა პოლიციელიც ღებულობდა მონაწილეობას მოზარდის გამოკითხვაში და ისინიც ახდენდნენ ზეწოლას გარდაცვლილ ბავშვზე. აქედან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ დაკავებული გამოძიებელი მ.ჩ. შესაძლოა, სხვადასხვა მოტივებით არ ასახელებდეს სხვა პოლიციელებს, რომლებიც მასთან ერთად მონაწილეობდნენ გამოკითხვაში. ეს საკითხი არც სახელმწიფო ინსპექტორის მიერ წამოწეულა.

იმის გათვალისწინებით, რომ შსს-ს ყოფილი თანამშრომლის მიმართ ზეწოლის რისკი მაღალია, რომ არ დაასახელოს და არ ამხილოს სისგემის სხვა წარმომადგენლებიც, აუცილებელია, სახელმწიფო ინსპექტორს ჰქონდეს, ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა დაცვის უფლებამოსილება მის კომპეტენციას დაქვემდებარებული საქმეების გამოძიებისას. აღნიშნული უზრუნველყოფს გამოძიების ეფექტურობასა და მონაწილეთა უსაფრთხოებას, დანაშაულის ჩამდენი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხილებას და საბოლოო ანგარიშით სამართალდამცავი ორგანოების სისგემის გაჯანსაღებას.

სამართლებრივი დასაბუთება

დღეს არსებული კანონმდებლობით პროცესის მონაწილეთა დაცვა შესაძლებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებით, რომელზეც გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი და რომელსაც აღასრულებს შინაგან საქმეთა სამინისტრო¹. სხვა არცერთი უწყება არ არის უფლებამოსილი, პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებები განახორციელოს. იმ ფონზე, როდესაც არსებობს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც შინაგან საქმეთა სისგემაში ჩაღვნილ დანაშაულებს იძიებს, სადაც შესაძლოა დადგეს ამ სისგემის წარმომადგენელთა მხრიდან მომდინარე საფრთხის განეიგრალების გადაუდებელი საჭიროება, საკანონმდებლო გარემო

¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 67-71 მუხლები

არ არის მზად ამ საფრთხის ეფექტურად განეიტრალებისთვის – სახელმწიფო ინსპექტორს არ გააჩნია რაიმე ბერკეტი, რომლითაც იგი პოლიციელისგან მომდინარე დაშინების, შანტაჟის, გეწოლის, მუქარის ან სხვაგვარი საფრთხისგან დაიცავს მოწმეს, დაზარალებულს, ან ბრალდებულს. აღნიშნული საფრთხის არსებობა კი არსებითად შეაფერხებს ეფექტიან გამოძიებას.

პროცესის მონაწილეთა დაცვა ემსახურება ორ მიზანს: თავად მათ პიროვნულ დაცვას და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფას.

პიროვნული დაცვა საფრთხის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი უწყების მხრიდან, რომლის შესრულებაზეც არაერთი საერთაშორისო ინსტრუმენტი პასუხისმგებლობას აკისრებს ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს².

მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკით დამკვიდრებული ეფექტიანი გამოძიების სტანდარტების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მტკიცებულებათა მოპოვების ხელშემშლელი ფაქტორების მაქსიმალური აღმოფხვრა. იმ პირობებში, როდესაც მტკიცებულებათა მთავარი წყარო პირის ჩვენებაა, მათ შორის ბრალდებულის, მოწმის, ან დაზარალებულის, აუცილებელია, მათი ყოველგვარი არამართლმომიერი შეგავლენისგან დაცვა და შესაბამისი უსაფრთხოება, რომ მათგან რეალური ინფორმაცია, თუ რა მოხდა სინამდვილეში, ყოველგვარი დამახინჯების გარეშე მიიღოს გამოძიებელმა. ესე იგი, აუცილებელია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დაცვის მოწმეთა და დაზარალებულთა დაცვა მათ მიმართ საფრთხის არსებობის შემთხვევაში.

დანაშაულის თვითმხილველი უმნიშვნელოვანესი სუბიექტია გამოძიებაში. მისი ჩვენება არაერთ შემთხვევაში და დიდწილად განაპირობებს საქმის გამოძიების მთლიან გრაექტორიას. ამ ფონზე, მარტივია იმის ანალიზი, თუ რამხელა ინტერესი შეიძლება არსებობდეს მოწმისა და დაზარალებულის მიმართ, რომელთა ჩვენებასაც განსაკუთრებული მტკიცებულებითი მნიშვნელობა ენიჭება³. როგორც ავტორები ფლავიუსი და სეტი მიუთითებენ, „თუკი დანაშაულს ჩაიდენ, სასჯელს გაექცევი მაშინ, თუ არავინ შენ საწინააღმდეგო ჩვენებას არ მისცემს. ასე, რომ შენსავე ინტერესშია, მოწმემ ჩვენება არ მისცეს, თუმცა, მართლმსაჯულება და სამართლის უზენაესობა დაუსჯელობით დაზიანდება, ვინაიდან მოწმის დაშინება სამართლის უზენაესობის პრინციპის ძირითადი საფრთხეა“⁴.

რამდენადაც საქართველოს გამოცდილება დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის არსებობის პრაქტიკურად ერთ-ერთი უნიკალური შემთხვევაა თავისი ფორმირების და ანგარიშვალდებულების ტიპის თვალსაზრისით, რთულია სხვა მუსკად ანალოგიური ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკების მოძიება. თუმცა, მაინც გამოიძებნა სამხრეთ აფრიკის გამოცდილების საინტერესო მაგალითი.

სამხრეთ აფრიკის სამოქალაქო ომები და აპარტეიდის კონტექსტში პოლიციელთა მხრიდან ძალის გადაყენების ფაქტები ამ ქვეყნის უახლესი ისტორიის სისხლიანი ნაწილია. ამდენად, მნიშვნელოვანია იმ გამოცდილების გაზიარება, რაც მათ დააგროვეს პოლიციელთა დანაშაულების გამოძიების მხრივ.

² 2017 წლის 30 ნოემბრის ევროპის პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრება პროკურორთა როლზე მოწმეთა და დაზარალებულთა უფლებების მიმართ პროკურორის როლზე, <<https://rm.coe.int/opinion-no-12-on-the-role-of-prosecutors-in-relation-to-the-rights-of-/168076fd32>> ნანახია 12.20.2019; გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ადამიანის უფლებათა მონიტორინგის სახელმძღვანელო, დაზარალებულთა, მოწმეთა და პროცესის სხვა მონაწილეთა დაცვა, <<https://www.ohchr.org/Documents/Publications/Chapter14-56pp.pdf>> ნანახია 12.20.2019.

³ მოწმისა და დაზარალებულის უსაფრთხოება წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეთა გამოძიების პროცესში, ეკა ხუციშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები, სტაგიათა კრებული, თბილისი, 2016, რედ. კონსტანტინე კორკელია, გვ. 186

⁴ Id.

დამოუკიდებელი საპოლიციო დანაშაულების გამოძიების დირექტორატი (Independent Police Investigation Directorate⁵) სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შეიქმნა 1997 წელს,⁶ ხოლო რეფორმირდა 2011 წელს,⁷ მის კომპეტენციაში შედის პოლიციელთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და საპოლიციო სისტემის გაჯანსაღებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

მოწმეთა და პროცესის სხვა მონაწილეთა დაცვის ბერკეტები ამ ქვეყანაში მინიჭებული აქვს მოწმეთა დაცვის სააგენტოს (Office for Witness Protection). მოწმეთა დაცვის პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ მას ან მასთან დაკავშირებულ პირს საფრთხე ემუქრება.⁹ ამასთან, OWP იუსტიციის სამინისტროს ქვემდებარე ორგანოა, თუმცა იგი თავის მანდატს ახორციელებს დამოუკიდებლად და მისი საქმიანობა საიდუმლოა. შესაბამისად, ნათელია, რომ შემოხსენებულ დირექტორატში გამოსაძიებელი საქმის ფარგლებში, პროცესის მონაწილეთა საფრთხისგან დაცვა მინდობილი არ აქვს თავად საფრთხის პოტენციურად წარმომშობ ორგანოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს - არამედ, მისი გვერდის ავლით, სრულიად დამოუკიდებლად იგი უზრუნველყოფილია ცალკე არსებული უწყების მიერ.

საკანონმდებლო წინადადების შინაარსი

- მომზადდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ კანონებში შესაგანი და შესაბამის კანონმდებლობაში, საჭიროების შემთხვევაში, გამომდინარე ცვლილებები, რომლითაც სახელმწიფო ინსპექტორს მიენიჭება დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების უფლებამოსილება;
- განხორციელდეს ამ ცვლილების ამოქმედებისათვის საჭირო ფინანსური ხარჯების გამოთვლა და მისი ასახვა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში;

დანართი: ამონარიდი კრებულიდან, მოწმისა და დაზარალებულის უსაფრთხოება წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეთა გამოძიების პროცესში, ეკა ხუციშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები, სტაგიათა კრებული, თბილისი, 2016, რედ. კონსტანტინე კორკელია. გვ.184-2020.

⁵ შემოკლებით „IPID“.

⁶ Independent Complaints Directorate შეიქმნა 1997 წლის „სამხრეთ აფრიკის პოლიციის აქტის“, მუხლი 50, <<https://www.saps.gov.za/legislation/acts/act68of1995.pdf>> ნანახია 12.20.2019.

⁷ IPID შეიქმნა 2011 წლის „დამოუკიდებელი საპოლიციო დანაშაულის გამოძიების დირექტორატის შესახებ აქტით“ <https://www.gov.za/sites/default/files/gcis_document/2014/09/a12011.pdf>, ნანახია 12.20.2019.

⁸ შემოკლებით „OWP“.

⁹ <<https://www.justice.gov.za/legislation/acts/1998-112.pdf>>, ნანახია 20.12.2019.